

მდ. რიონის შესართავის რაიონის მორფო-დინამიკური პროცესები

რატი ქიქავა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიებში მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯანელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

სარჩევი

აბსტრაქტი	3
Abstract	4
მადლობა	5
1. შესავალი	6
2. საკვლევი რაიონის ფიზ-გეოგრაფიული დახასიათება	7
2.1 გეოგრაფია და გეოლოგია	7
2.2 ჰავა	8
3. ფოთის სანაპირო ზონაში ნაპირ წარმომქმნელი და აბრაზიული პროცესების განმაპირობებელი ფაქტორები	10
3.2 მალთაყვის არხი	13
3.3 რიონის ჩრდილოეთ კალაპოტი	15
3.4 დინებები	17
4. კანიონი	24
6. შეჯამება	28
6.1 აბრაზიული ფაქტორების ქრონოლოგია	28
8. ფიგურები და ცხრილები	32
9. ბიბლიოგრაფია	34

აბსტრაქტი

საქართველოს დასავლეთ საზღვრის სიგრძე 315 კმ-ია და ის მთლიანად შავი ზღვის სანაპირო ხაზს უკავია. მსგავსი ტიპის საზღვრები სახმელეთო საზღვრებისგან გამორჩეულია იმით, რომ ეს საზღვარი მუდმივ დინამიკაშია, ზოგ შემთხვევაში ეს დინამიკა ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველია, რიგ შემთხვევებში კი ის მკვეთრად ვლინდება. რადგანაც ჩვენი დასავლეთ საზღვარი შავი ზღვის სანაპირო ხაზისგან შეგდება, მის ტერიტორიაზე არის ისეთი ადგილები, სადაც ზღვის მოქმედება მკვეთრად არის გამოვლენილი და საკმაოდ საყურადღებოა. ამ ადგილებიდან ერთ-ერთი არის ქალაქი ფოთი, რომელიც ჩემი კვლევის ობიექტი გახდა და ეს ნაშრომიც მივუძღვენი მას. ეს ქალაქი საკმაოდ რთულ სიტუაციაშია, ზღვიურმა პროცესებმა მას ძალიან დიდი რეკრეაციული ზონა გამოსტაცა და ეს პროცესი დღესაც შეუქცევად მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესების აღმოსაფხვრელად ჩატარდა სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები, საბოლოო ჯამში მათი შედეგი ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა, სწორედ ამიტომაც ეს პროცესები არის კიდევ უფრო სიღრმისეულად შესასწავლი, შესაბამისად საჭიროა დავსვათ შემდეგი კითხვები:

- რა ფაქტორებმა განაპირობა ამ პროცესის წარმოქმნა/ დაჩქარება?
- რა ინტენსივობით მიმდინარეობს ნაპირ გარეცხვითი პროცესები?
- შესაძლოა თუ არა ამ პროცესების შეჩერება? თუ კი, როგორ?

მაგრამ მხოლოდ ეს მიზეზი, რომ ეს პროცესი არის შეუქცევადი არ გამხდარა იმის მიზეზი, რომ ჩემი კვლევის ობიექტი გამხდარიყო. ეს არის ქალაქი რომელიც დიდმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ ფაქტობრივად მკვდრეთით აღადგინა, დააგეგმარა პარიზის გეგმით და იმდროინდელი არამატრო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ თანამედროვე ქალადაც კი აქცია. საბოლოოდ კი ეს პატარა მაგრამ დიდი ისტორიის და სულისკვეთების ქალაქი არის ჩემი მშობლიური ქალაქი, რომლის გადასარჩენადაც მინდა მცირეოდენი წვლილი შევიტანო.

Abstract

The length of the western border of Georgia is 315 km and it completely occupies the Black Sea coastline. Similar types of boundaries are distinguished from land boundaries by the fact that this boundary is in constant dynamics, in some cases this dynamics is invisible to the human eye, and in some cases it is sharply manifested. Because our western border is bordered by the Black Sea coastline, there are areas in its territory where sea action is sharply detected and quite noticeable. One of these places is the city of Poti, which became the object of my research and I dedicated this work to him. This city is in a very difficult situation, the sea processes have robbed it of a very large recreational area and this process is still irreversible today. Although various preventive measures were taken to eliminate these processes, in the end their results turned out to be less effective, which is why these processes are even more in-depth to be studied, therefore we need to ask the following questions:

- What factors led to the emergence / acceleration of this process?
- How intense are the abrasive processes?
- Can these processes be stopped? If yes, how?

But the fact that this process is irreversible has not become the reason for it to become the object of my research. This is a city that the great public figure Niko Nikoladze actually revived from the dead, planned according to the plan of Paris and turned into a non-Georgian Georgia at that time, but even one of the most modern cities in the world. At last, this small but great history and spirit of the city is my hometown, and i I want to make a small contribution

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს, განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო, სინოპტიკური სამსახურის უფროსს, ბატონ რამაზ კინწურაშვილს, რომელმაც მომაწოდა - ამონაწერი სინოპტიკური ჟურნალიდან, ქ. ფოთში შავი ზღვის აკვატორიაში არსებული ფაქტიური ამინდის (ქარი, ზღვა) შესახებ, 2015 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 25 მაისის ჩათვლით.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქ ფოთის ადგილობრივ არქივს და მის დირექტორს ქალბატონ ქეთევან ეფრემიძეს, რომელმაც მომაწოდა ინფორმაცია ფოთის იმ ნაწილზე, რომელიც ზღვამ დაფარა.

აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს ბატონ ზურაბ ჯანელიძეს, რომელიც უკვე მრავალი წელია ჩვენს გვერდითაა შეგვასწავლოს და შეგვაყვაროს ეს საქიანობა, სწორედ ამ ადამიანმა მომცა ბიძგი ამ მიმართულებას გავყოლოდი, ხოლო ნამუშევრის მზადების პროცესში აქტიურად მეხმარებოდა.

საბოლოოდ კი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინც მცირედით მაინცა დამეხმარა ამ ნაშრომის შექმნაში.